Supported by Luminate
Building stronger societies

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პრეს-რელიზი

კარგი მმართველობის ფორუმი (GGF)

#GGForum2019

<u>თბილისი. 29-30 ნოემბერი, 2019</u> – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ორდღიან საერთაშორისო კონფერენციას - **კარგი მმართველობის ფორუმს (GG Forum)** უმასპინძლა. ფორუმის მიზანს წარმოადგენდა კორუფციასთან, განსაკუთრებით კი მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის ინოვაციური და ეფექტური მიდგომების განხილვა. ამ მიზნით, ღონისძიებაზე, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით დისკუსიები გაიმართა შემდეგ საკითხებზე: საჯარო შესყიდვები და ღია კონტრაქტები, კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების ღიაობა და მოპოვებითი დარგების გამჭირვალობის ინიციატივა, კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური მოდელები და კამპანიები.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელმა დირექტორმა, **გიორგი კლდიაშვილმა;** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) "საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში"/ EITI-ის პროექტის დირექტორმა, **ალექსანდრ დრაგოილოვიჩმა** და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) დირექტორმა, **ლევან სამადაშვილმა.**

"გასული წლების განმავლობაში, ქვეყნებმა გლობალურ და პოლიტიკურ დონეზე კორუფციასთან ბრძოლის დიდი პროგრესი განიცადეს, განავითარეს ანტიკორუფციული რეგულაციები და აღსრულების მექანიზმები. თუმცა, ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ საჭიროა ერთიანი და კოორდინირებული მიდგომა, რათა მოხდეს ისეთ გამოწვევებთან გამკლავება, როგორებიცაა: საზღვარგარეთიდან შემომავალი უკანონო ფინანსური ნაკადები, საჯარო დაწესებულებების ბოროტად გამოყენება და გადასახადების თავიდან არიდება. ყოველივე ეს ხაზს უსვამს, რომ საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა, რათა მოხდეს ხელისუფლების სხვადასხვა ჩარჩოს გაუმჯობესება, ინოვაციური მექანიზმების შემოთავაზება და სხვადასხვა ზომების მიღება კორუფციის პრევენციის, გამოვლენისა და სანქციების გასაუმჯობესებლად. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრაში, მაღალი დონის კორუფცია კი კვლავ გადაულახავ და მზარდ გამოწვევად რჩება. "- აღნიშნა **გიორგი კლდიაშვილმა.**

კონფერენციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ◈ საერთაშორისო გამჭვირვალობა; ◈ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD); ◈ მომპოვებელი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივა (EITI); ◈ მსოფლიო ბანკი; ◈ აზიის განვითარების ბანკი; ◈ უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო; ◈ ლიეტუვას რესპუბლიკის სპეციალური საგამოძიებო სამსახური; ◈ ღია მმართველობის პარტნიორობა; ◈ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისი; ◈ ღია კონტრაქტების პარტნიორობა; ◈ ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მაუწყებელი პროექტი (OCCRP) ◈ ნორვეგიის საგადასახადო სამართლიანობის ქსელი; **მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) როლი კორუფციასთან ბრძოლაში, კომპანიების ბენეფიციარი მფლობელების ღიაობა და კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური მოდელები.**

„ქვეყნების უმრავლესობას უჭირს მკვეთრი ნაბიჯები გადადგას კორუფციის წინააღმდეგ, რაც მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიის კრიზისს უწყობს ხელს. კორუფცია ყვავის მაშინ, როცა ელიტის ხელშია ძალაუფლება ანგარიშვალდებულების გარეშე. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ინდივიდები, სამოქალაქო სექტორი და მედია, რომ მათ შეძლონ პოლიტიკოსთა და გადაწყვეტილებების მიმღებთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.“ - აღნიშნა საერთაშორისო გამჭვირვალობის გლობალური ადვოკატირების კოორდინატორმა, **მარია ემილია ბერაზატეგუიმ.**

ფორუმი ორგანიზებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაციის Luminate-ის მხარდაჭერით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში, Tetra Tech ARD თანადაფინანსებით.

მედიასთან საკონტაქტო ინფორმაცია: *მაგდა გუგავა, IDFI, +995 599 420206, m.gugava@idfi.ge*